N 19376/09 08/11/2022

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 428/2022

ქ. თბილისი

ერთი მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ივერსი (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან დემეტრაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგი საქონლის მიწოდება:

ა) **კომპიუტერის უკაბელო კლავიატურა** - CPV: 30237460;

ბ) **უკაბელო მაუსი** - CPV: 30237410;

გ) **უკაბელო კლავიატურისა და მაუსის კომპიუტერთან დაკავშირების საშუალება** - CPV: 30230000;

დ) **ქსელის IP ტელეფონი** - CPV: 32429000.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **206.15 ₾ (ორას ექვსი ლარი და თხუთმეტი თეთრი),** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა - **საკუთარი შემოსავლები.**

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;
4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.**

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
6.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები არიან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები **თამარ აბაშიძე** და **დავით კარტოზია**.
6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია
7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება
8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები
9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02% ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.2. ხელშეკრულების 4.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული მომსახურების ღირებულების 0.02% - ის შესაბამის თანხით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.3. ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.6. იმ შემთხვევაში, თუ 11.1. და 11.2. პუნქტების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.7. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.
11.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

12.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე.

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)	CPV კოდები
1	GXP1625, Grandstream business IP Phone with 2 lines, 132x48 LCD, HD audio, 3-way conferencing POE	ცალი	1	132.82	132.82	32429000
2	კლავიატურა KM-8101, Genius Wireless Keyboard + Mouse, USB	წყვილი	1	43.83	43.83	30230000
3	USB ჰაბი CM416 UGREEN(10915) USB3.0 to 4USB 3.0 Hub USB-C 5V 2A 0.25m	ცალი	1	29.50	29.50	
სულ:					**206.15**	

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს ივერსი**
ს. კ. - 205142200 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი : 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900	ს. კ. - 205077593 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №2 მომსახურე ბანკი: ს. ს. საქართველოს ბანკი ბ. კ. - BAGAGE22 ა. ა. : GE22BG 0000 0001 1653 9900 Yversy Digitally signed by Yversy Date: 2022.11.08 11:03:49 +04'00'
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **ლევან დემეტრაშვილი**

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო